



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030494662229016

№ 04-198/ო

06 / მაისი / 2016 წ.

**უფროსი სოციალური აგენტებისათვის ზღვრული მოცულობის ფარგლებში
შესასრულებელი სამუშაოს თაობაზე**

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მსურველთა ან რეგისტრირებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება 2015 წლის მაისიდან ხორციელდება "სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N758 დადგენილების შესაბამისად. ამავე დადგენილების პირველი მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N758 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიით „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების გადამოწმების გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 25 მაისის N04-153/ო ბრძანებით დამტკიცდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების გადამოწმების გრაფიკი (შემდგომში - გადამოწმების გრაფიკი).

მნიშვნელოვნად იმატა ტერიტორიული ერთეულების სოციალური აგენტების მიერ შესასრულებელმა სამუშაოს მოცულობამ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირების, მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის უფროსებს (თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრი; სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი), მიენიჭოთ უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით (ადგილზე არსებული საჭიროებიდან გამომდინარე) და/ან ცენტრალური აპარატიდან მიღებული დავალების საფუძველზე, უფროს სოციალურ აგენტ(ებ)ს, შესასრულებელი სამუშაოს დადგენილი ზღვრული მოცულობის ფარგლებში (70 ერთეული), დაავალონ განახორციელონ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პირველადი და/ან განმეორებითი გადამოწმება, მიუხედავად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში

დაცული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით რეგისტრირებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით გადამოწმების შესახებ“ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2010 წლის 30 სექტემბრის 01/244-ო ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული განმეორებითი გადამოწმების საფუძვლებსა.

2. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნა.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სააგენტოს სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 11 მარტის N04-4199 მოხსენებითი ბარათი.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე